585
1952

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 2 (43) 30 აპრილი 1952 წ.

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

10. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

11. კანონი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

12. კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.

13. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის დანართის—„სამხედრო დანაშაულთა დებულების“ 7 მუხლის „ბ“ პუნქტის ცვლილების თაობაზე გამოცემული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

14. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 258 მუხლის ცვლილების თაობაზე გამოცემული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

15. საქართველოს სსრ მინისტრების დანიშვნის თაობაზე გამოცემულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

16. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს არჩევის შესახებ.

17. ამხ. ვ. ბ. გოგუას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

18. ამხ. ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

19. მ. ი. ბარამიას გარიცხვის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობიდან.

20. ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

21. ამხ. ვ. გ. ცხოვრებაშვილის არჩევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

22. ამხ. ზ. ნ. კეცხოველის დამტკიცების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

23. ამხ. ვ. მ. ბაქრაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

S154

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. ამხ. კ. მ. თარგამაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან.

25. საქართველოს სსრ მინისტრების დამტკიცების შესახებ.

26. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განხრახულებათა კომისიის შემადგენლობიდან ვ. ი. შონიას და საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობიდან გ. დ. ჩაჩიბაიას გარიცხვის შესახებ.

27. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განხრახულებათა კომისიის წევრად მ. ყ. ლომიძისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის წევრად შ. მ. თათარაშვილის არჩევის შესახებ.

28. ამხ. მ. მ. ლელაშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

29. ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის არჩევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

30. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

31. ბრძანებულება ზუგდიდის რაიონის კოკის სასოფლო საბჭოდან დასახლებული პუნქტის ხურჩას გამოყოფისა და აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის ნაბაკევის სასოფლო საბჭოზე შიკუთვნების შესახებ.

32. საჩხერის რაიონში ზოგიერთი სოფლის გაუქმების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

10. კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი: შემოსავლის ნაწილში—2.793.378 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში—2.747.417 ათასი მანეთი, შემოსავლის გადამეტებით ხარჯებზე 45.961 ათასი მანეთით. საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით 1953 წლის 1 იანვრისათვის დამტკიცდეს 82.423 ათასი მანეთი.

2. ამ კანონის 1 მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1952 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემდეგი თანხებით: შემოსავალი — 2.441.262 ათასი მანეთი, გასავალი—1.255.770 ათასი მანეთი, ოლქების, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ბიუჯეტების სახსრების გასაძლიერებლად ანარიცხები სახელმწიფო გადასახადიდან და შემოსავლიდან და დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 1.139.531 ათასი მანეთი, გარდა ამისა საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1953 წლის 1 იანვრისათვის 29.558 ათასი მანეთი.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ოლქების, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის 1952 წლის ბიუჯეტები შემდეგი თანხებით (ათას მანეთობით):

	შემოსავალი	მათ შორის: ანარიცხები სახელმწიფო გადასახადიდან და შემოსავლიდან	მათ შორის: დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	გასავალი	საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1953 წ. 1 იანვრისათვის
თბილისის ოლქი	705.342	499.146	—	705.342	23.276
ქუთაისის ოლქი	460.156	378.220	—	460.156	18.406
აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა . . .	149.381	115.780	—	149.381	4.929
აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	116.642	89.971	—	116.642	3.849
სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი .	60.126	27.241	29.173	60.126	2.405
ს უ ლ . . .	1.491.647	1.110.358	29.173	1.491.647	52.865

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაწესდეს 1952 წლისათვის ანარიცხები სახელმწიფო გადასახადიდან და შემოსავლიდან საქართველოს სსრ ოლქების, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ბიუჯეტებში გადასარიცხავად შემდეგი ოდენობით:

ა) ბრუნვის გადასახადის შემოსავლიდან: თბილისის ოლქის ბიუჯეტში — 5,3 პროცენტი, ქუთაისის ოლქის—26,4 პროცენტი, აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის—12,9 პროცენტი, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის—13,7 პროცენტი, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის—50,5 პროცენტი;

ბ) კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეებისაგან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოსავლიდან და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შემოსავლიდან—25 პროცენტი;

გ) სატყეო შემოსავლიდან – 50 პროცენტი;

დ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის შემოსავლიდან: თბილისის ოლქის ბიუჯეტში—30 პროცენტი, ქუთაისის ოლქის—20 პროცენტი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების—15 პროცენტი, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის—25 პროცენტი;

ე) კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის შემოსავლიდან: თბილისის ოლქის ბიუჯეტში—60 პროცენტი, ქუთაისის ოლქის—50 პროცენტი, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის—50 პროცენტი, აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის – 25 პროცენტი;

ვ) მოსახლეობაში გავრცელებულ სახელმწიფო სესხის თანხებიდან: თბილისისა და ქუთაისის ოლქებისა და აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბიუჯეტებში—50 პროცენტი, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის—40 პროცენტი;

ზ) სსრკ უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის შემოსავლიდან: ქუთაისის ოლქისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბიუჯეტებში—50 პროცენტი, თბილისის ოლქის—48 პროცენტი, აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის – 25 პროცენტი, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის —100 პროცენტი.

5. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში: შემოსავლის ნაწილში 2.801.111 ათასი მანეთი, გასავლის ნაწილში 2.656.737 ათასი მანეთი, გასავალზე შემოსავლის 144.374 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 6 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. კანონი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 28 აპრილის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ".

შესაბამისად ამისა, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 და 55 მუხლებში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება: სიტყვები „სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა" შეიცვალოს სიტყვებით „სატყეო მრეწველობისა".

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 28 აგვისტოს ბრძანებულება „კინოფიკაციის განყოფილებების შეტანის შესახებ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებათა ნუსხებში", იმ რედაქციით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 17 მარტის ბრძანებულებით.

შესაბამისად ამისა, კინოფიკაციის განყოფილება შეტანილ იქნას მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებათა იმ ნუსხაში, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ კონსტიტუციის 102 მუხლით, და ამ მუხლს სიტყვის შემდეგ „ვაჭრობისა" დაემატოს სიტყვა „კინოფიკაციისა".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 6 აპრილი.

12. კანონი

საქართველოს სსრ კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 3 ნოემბრის ბრძანებულებისა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში თბილისისა და ქუთაისის ოლქების შექმნის შესახებ" და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 5 ნოემბრის ბრძანებულებისა „საქართველოს სსრ შემადგენლობაში თბილისისა და ქუთაისის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლქების შექმნის შესახებ", რომელიც დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1952 წლის 8 მარტს, გათვალისწინებულ იქნას საქართველოს სსრ კონსტიტუციაში თბილისისა და ქუთაისის ოლქების შექმნა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების ორგანიზაცია, აგრეთვე საოლქო სასამართლოების ორგანიზაცია და საოლქო პროკურორების დანიშვნა.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას საქართველოს სსრ კონსტიტუციის ტექსტში ამ კანონის მომდევნო მუხლებში აღნიშნული ცვლილება და დამატება.

1. დაემატოს საქართველოს სსრ კონსტიტუციას მუხლები 85-ა, 90-ა, 101-ა და 104-ა შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 85-ა. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოები აირჩევიან ნორმით: ერთი დეპუტატი არა ნაკლებ 4.000 მცხოვრებზე და არა უმეტეს 6.000 მცხოვრებზე".

„მუხლი 90-ა. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების სესიებს იწვევენ მათი აღმასრულებელი კომიტეტები წელიწადში ოთხჯერ მაინც".

„მუხლი 101-ა. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოები ჰქმნიან აღმასრულებელი კომიტეტების შემდეგ განყოფილებებსა და სამმართველოებს:

განყოფილებებს—

ადგილობრივი მრეწველობისა;
არქიტექტურის საქმეთა;
ვაჭრობისა;
კომუნალური მეურნეობისა;
კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობისა;
საგზაოს;
საერთოს;
საფინანსოს;
სახალხო განათლებისა;
სოციალური უზრუნველყოფისა;
ხელოვნების საქმეთა;
ჯანმრთელობის დაცვისა;

სამმართველოებს—

კინოფიკაციისა;
საავტომობილო ტრანსპორტისა;
სასოფლო და საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეთა;
სატყეო მეურნეობისა;
საშენ მასალათა მრეწველობისა;
სოფლის მეურნეობისა;
ტექნიკურ კულტურათა;
წყალთა მეურნეობისა;
საგეგმო კომისიას;
ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტს;
კადრების სექტორს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან.

ოლქის მეურნეობის თავისებურებათა შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს შეუძლია შექმნას სხვა განყოფილებებიცა და სამმართველოებიც ზემდგომი ორგანოების დამტკიცებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებობენ: საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამმართველო, საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველო, საქართველოს სსრ-ის იუსტიციის სამინისტროს სამმართველო, სსრკ დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული".

„**მუხლი 104**-ა. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებანი და სამმართველოები თავიანთ მოქმედებაში ექვემდებარებიან როგორც მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე საქართველოს სსრ-ის საოთანადო სამინისტროს და საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს სამმართველოს".

2. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 14 მუხლის პუნქტები „დ", „ე" და „კ", მუხლი 19, 36 მუხლის პუნქტი „ე", 48 მუხლის პუნქტი „დ", მუხლები 49, 84, 85, 88, 102, 103, 105, 106, 107, 122 და 128 გამოიხატოს შემდეგნაირად:

„**მუხლი 14.** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა თავისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით:...

დ) წარუდგენს დასამტკიცებლად სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს ახალი ოლქების, აგრეთვე ახალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების შექმნას საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში;

ე) აწესებს ოლქების საზღვრებს და რაიონულ დაყოფას; ანტკიცებს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების დადგენილებებს და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებს ახალი სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოების, მსხვილ ქალაქებში რაიონული საბჭოების შექმნისა და მათი საზღვრების შეცვლის შესახებ";...

„კ) ხელმძღვანელობს აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ის და აჭარის ავტონომიური სსრ-ის ბიუჯეტებისა და ოლქების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების და ქალაქების ადგილობრივი ბიუჯეტების განხორციელებას".

„**მუხლი 19.** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება:

თბილისის ოლქისაგან, ცენტრით ქალაქ თბილისში, ქალაქებით თბილისი (რესპუბლიკური დაქვემდებარებისა), გორი და რუსთავი და შემდეგი რაიონებით: ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გორის, გურჯაანის, დმანისის, დუშეთის, თეთრი წყაროს, თელავის, თიანეთის, კასპის, კაჭრეთის, ლაგოდეხის, მარნეულის, მცხეთის, საგარეჯოს, სიღნაღის, ქარელის, ყაზბეგის, ყვარლის, წალკის, წითელწყაროს და ხაშურისა;

ქუთაისის ოლქისაგან, ცენტრით ქალაქ ქუთაისში, ქალაქებით ქუთაისი, ფოთი და ჭიათურა და შემდეგი რაიონებით: აბაშის, ამბროლაურის, გეგეჭკორის, ვანის, ზემო სვანეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თერჯოლის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, მახარაძის, ონის, ორჯონიკიძის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, ქვემო სვანეთის, ქლუხორის, ქუთაისის, ჩოხატაურის, ჩხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როწყუს, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წულუკიძის, წყალტუბოს, ჭიათურის და ხობისა;

აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისაგან;

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისაგან;

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან".

„**მუხლი 36.** საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი:....

ე) აუქმებს საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს და ავტონომიურ რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოების დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს გადაწყვეტილებებსა და განკარგულებებს, თუ ისინი კანონს არ შეესაბამებიან".

„**მუხლი 48.** საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭო:...

დ) წარმართავს და ამოწმებს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობას, ხელმძღვანელობს და ამოწმებს მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობას".

„**მუხლი 49.** საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი და აგრეთვე შეაჩეროს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებანი და განკარგულებანი, მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი.

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს საქართველოს სსრ-ის მინისტრთა ბრძანებები და ინსტრუქციები".

„**მუხლი 84.** სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოლქებში, რაიონებში, ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში არიან მშრომელთა დეპუტატების საბჭოები".

„**მუხლი 85.** მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულ, საქალაქო, დიდი ქალაქების რაიონულ, სადაბო და სასოფლო საბჭოებს ირჩევენ შესაბამისად ოლქის, რაიონის, ქალაქის, დაბის და სოფლის მშრომელები ორი წლის ვადით".

„**მუხლი 88.** მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოები აირჩევიან ნორმით: ერთი დეპუტატი 100 მცხოვრებზე; იმ სოფლებსა და დაბებში, სადაც მოსახლეობა 1.000 კაცამდეა, ირჩევენ 9 დეპუტატს, ხოლო სადაც მოსახლეობა 3.500 აღემატება,—არა უმეტეს 35 დეპუტატისა.

საარჩევნო ნორმებს მშრომელთა დეპუტატების თვითეული საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოებისათვის აწესებს „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულება" იმ საარჩევნო ნორმების ფარგლებში, რომლებიც აღნიშნულია 85-ა, 86, 87 მუხლებში და ამა მუხლში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

„**მუხლი 102.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები ჰქმნიან აღმასრულებელი კომიტეტების შემდეგ განყოფილებებს:

ვაჭრობისა;

კინოფიკაციისა;

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისა;

საგზაოს;

საერთოს;

სასოფლო და საკოლმეურნეო მშენებლობისა;

საფინანსოს;

სახალხო განათლებისა;

სოფლის მეურნეობისა;

სოციალური უზრუნველყოფისა;

ჯანმრთელობის დაცვისა;

საგეგმო კომისიას;

კადრების სექტორს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან;

და, გარდა ამისა, რაიონის მეურნეობის თავისებურებათა შესაბამისად ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დამტკიცებით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები ჰქმნიან განყოფილებებს: კომუნალურს და ადგილობრივი მრეწველობისა“.

„**მუხლი 103.** რაიონის პირობების შესაბამისად სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ-ის კანონების საფუძველზე ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დამტკიცებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო ჰქმნიან მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოებთან თავის განყოფილებებს“.

„**მუხლი 105.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებანი თავიანთ მოქმედებაში ექვემდებარებიან მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილებას ან სამმართველოს, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—ავტონომიური რესპუბლიკის სათანადო სამინისტროს ან ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილებას ან სამმართველოს“.

„**მუხლი 106.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებანი თავიანთ მოქმედებაში ექვემდებარებიან როგორც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილებას“.

„**მუხლი 107.** თბილისის, გორის, რუსთავის, ქუთაისის, ფოთისა და ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებანი თავიანთ მოქმედებაში ექვემდებარებიან როგორც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილებას ან სამმართველოს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მუხლი 122. საოლქო სასამართლოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს ირჩევენ მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოები ან სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო ხუთი წლის ვადით“.

„მუხლი 128. საქართველოს სსრ-ის, აფხაზეთის ასსრ-ის და აჭარის ასსრ-ის პროკურორებს, საოლქო პროკურორებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორს ნიშნავს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ხუთი წლის ვადით“.

3. 89 და 95 მუხლებში სიტყვები „(რაიონის, ქალაქის, სოფლის)“ შეივსოს და დაიწეროს „(ოლქის, რაიონის, ქალაქის, სოფლის)“.

4. 93 მუხლს სიტყვების წინ „რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების“ დაემატოს სიტყვა „საოლქო“.

5. 96 მუხლს სიტყვების წინ „რაიონული და საქალაქო საბჭოები“ დაემატოს სიტყვა „საოლქო“.

6. 101 მუხლს სიტყვების წინ „რაიონული და საქალაქო საბჭოები“ დაემატოს სიტყვა „საოლქო“, ხოლო სიტყვის „განყოფილებებს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და სამმართველოებს“.

7. 116 მუხლს სიტყვების წინ „რაიონულ, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების“ დაემატოს სიტყვა „საოლქო“.

8. 117 მუხლს სიტყვების შემდეგ „აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები“ დაემატოს სიტყვები „საოლქო სასამართლოები“.

9. 147 მუხლს სიტყვების წინ „რაიონულ, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოებში“ დაემატოს სიტყვა „საოლქო“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 6 აპრილი.

13. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის დანართის—„სამხედრო დანაშაულთა დებულების“ 7 მუხლის „ბ“ პუნქტის ცვლილების თაობაზე გამოცემული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 11 მაისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის დანართის— „სამხედრო დანაშაულთა დებულების“ 7 მუხლის „ბ“ პუნქტის ცვლილების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 6. აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 258 მუხლის ცვლილების თაობაზე გამოცემული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 27 თებერვლის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 258 მუხლის ცვლილების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 6. აპრილი.

15. საქართველოს სსრ მინისტრების დანიშვნის თაობაზე გამოცემულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებითაც დანიშნული არიან:

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად — **მამალაძე ვასილ ქიშვარდის-ძე;**

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრად — **სოხაძე კონსტანტინე გიორგის-ძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 6. აპრილი.

16. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესბუპლიკის უმაღლესი სასამართლოს არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

ფურცხვანიძე ბორის ზაქარიას-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები

ბასილაია ისიდორე სესიას-ძე.
გოგუაძე შუშანა იოსების ასული.
კალმახელიძე ლუკა ივანეს-ძე.
კერესელიძე გრიგოლ დიმიტრის-ძე.
ლეკვეიშვილი შალვა მიხეილის-ძე.
მანჯგალაძე ნინო ივანეს ასული.
ოდიშვილი ისიდორე სიმონის-ძე.
ფალავანდიშვილი აპოლონ ვლადიმერის-ძე.
ფხაკაძე ანა ფილიპეს ასული.
ღლონტი ამბროსი მაქსიმეს-ძე.
ცანავა გრიგოლ დიმიტრის-ძე.
წერუაშვილი თამარ ესტატეს ასული.
წურწუმია თომა სამსონის-ძე.
ჭარხალაშვილი მარიამ ევგენის ასული.
ხანთაძე დომენიკა გრიგოლის ასული.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულები

აბაზაძე ეთერი ივანეს ასული.
აბესაძე მარიამ სიმონის ასული.
ავალიანი ლევან ვასილის-ძე.
ანდრიასოვა ასია ხაჩატურის ასული.
არზიანი ვერა დიანოზის ასული.
აფაქიძე ელზა აკაკის ასული.
ბარნოვი მარიამ პავლეს ასული.
ბაქრაძე ელენე ივანეს ასული.
ბახტაძე ქრისტინე სამსონის ასული.
ბებიაშვილი ფატმა ლეონტის ასული.
ბურნაძე მარიამ ივანეს ასული.
ბურჭულაძე ევგენია დავითის ასული.
გაბუნია-ჩეჩელაშვილი იულია პავლეს ასული.
გავაშელი ალექსანდრე ბესარიონის-ძე.
გახოკიძე სიმონ გიორგის-ძე.
გელაშვილი ლია სერგის ასული.
გვინცაძე ფამია ვასილის ასული.
გიორგობიანი ეთერი ილარიონის ასული.
გოგიაშვილი შოთა ანტონის-ძე.
გოგიტიძე ალექსანდრე ირაკლის-ძე.
გოგიჩაიშვილი ბესარიონ რაჟდენის-ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგოლაშვილი ქეთევან აპოლონის ასული.
გოგსაძე სპირიდონ ნიკოლოზის-ძე.
გოდერძიშვილი ნინო დიმიტრის ასული.
გომელაური ლევან ზაქარიას-ძე.
ვულბანი სიდონია მიხეილის ასული.
დადიანი არმინდა ალექსანდრეს ასული.
დავიდოვა ერა არმენის ასული.
დავითაშვილი-ჩიქვანაია თამარ ალექსანდრეს ასული.
დავლიანიძე სიმონ გიორგის-ძე.
დათუაშვილი დავით ლეონიდეს-ძე.
დარახველიძე შოთა სერაპიონის-ძე.
დახუნდარიძე თამარ ივანეს ასული.
დევიძე ქეთევან ვლადიმერის ასული.
დვალიშვილი ანა იოსების ასული.
დიმელაშვილი დიმიტრი ალექსის-ძე.
დობორჯგინიძე ალექსანდრე სამსონის-ძე.
დოლიძე ნიკოლოზ სიმონის-ძე.
ედიბერიძე ანა ფრიდრიხის ასული.
ვაშაკიძე მარიამ ივანეს ასული.
ვეკუა ნიკოლოზ გიორგის-ძე.
ზელმანსკაია ბერტა ბორისის ასული.
თარგამაძე გიორგი ყარამანის-ძე.
თოდუა ბარნაბ ნესტორის-ძე.
თორდია თინათინ ალექსანდეს ასული.
თოფურია ვლადიმერ ლავრენტის-ძე.
კაპანაძე შალვა სიმონის-ძე.
კაცაძე დავით გიორგის-ძე.
კაციტაძე ივანე ერმალოს-ძე.
კემულარია-ნათაძე ლუბა მანუჩარის ასული.
კერესელიძე გალინა ვასილის ასული.
კილაძე მოსე მიხეილის-ძე.
კორძაია ქეთევან იასონის ასული.
კუნჭულია არონ ბეჟანის-ძე.
ლაფერაძე დავით არსენის-ძე.
ლაცაბიძე თამარ კონსტანტინეს ასული.
ლეკიშვილი სერაპიონ ვლადიმერის-ძე.
ლეჟავა თამარ დიომიდეს ასული.
ლეჟავა ნინო ნოეს ასული.
მაისურაძე ივანე ოქრუას-ძე.
მალანია მარიამ ლუკას ასული.
მამისწარაშვილი ლიდა ზაქარიას ასული.
მამუკაშვილი გიორგი ალიოზის-ძე.
მანჯგალაძე შალვა სპირიდონის-ძე.
მარკოზაშვილი თამარ ივანეს ასული.
მესხი ბესარიონ ლავრენტის-ძე.
მესხი დავით ნიკოლოზის-ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესხი ფენია ნიკოლოზის ასული.
მოციქულაშვილი მიხეილ გიორგის-ძე.
მუმლაძე ნატო ოქროპირის ასული.
მუხრანელი ლეონიდე დავითის-ძე.
მუჯირი ნათელა ანტონის ასული.
ნაცარაშვილი გული ასლანის ასული.
ნაცვლიშვილი ნათელა იოსების ასული.
ნიკვაშვილი ივანე ვასილის-ძე.
ნოვახოვა ესფირ აბრამის ასული.
ნონიკაშვილი არკადი ნოეს-ძე.
ოგანეზოვა რუზანა სერგის ასული.
ოგანეზოვი გრიგოლ სტეფანეს-ძე.
ონაშვილი მიხეილ ივანეს-ძე.
ორკოდაშვილი ალექსი ივანეს-ძე.
ორჯონიკიძე ნიკოლოზ გალაქტიონის-ძე.
პავლიაშვილი სერგი მიხეილის-ძე.
პაპუნაშვილი ნარგული დურსუნის ასული.
ულენტი სოფიო ივლიანეს ასული.
როსტიაშვილი ალექსანდრე დავითის-ძე.
სამსონიძე ტიტე ვლადიმერის-ძე.
სამჭკუაშვილი ელენე სოლომონის ასული.
სარაჯიშვილი ვლადიმერ გიორგის-ძე.
სეფაშვილი ალექსანდრა არჩილის ასული.
სინაურიძე ლევან თადეოზის-ძე.
სოფრომაძე მიხეილ ალექსანდრეს-ძე.
სტურუა მიხეილ ბარნაბის-ძე.
სულავა თეიმურაზ კირილეს-ძე.
სურგულაძე ივანე იულის-ძე.
ტყეშელაშვილი ავთანდილ გრიგოლის-ძე.
უზნაძე ქეთევან ილარიონის ასული.
ურუმაშვილი ბარბარე დავითის ასული.
უშვერიძე ნინო ირაკლის ასული.
უჯმაჯურიძე ილია გიტოს-ძე.
ფალავანდიშვილი ირინე ივანეს ასული.
ფალავა მამედ ემინის-ძე.
ფეიქრიშვილი ალექსანდრე ანტონის-ძე.
ფხაკაძე ალექსანდრე იოსების-ძე.
ფხაკაძე გიორგი ალექსანდრეს-ძე.
ფხაკაძე სილოვან ერმალოს-ძე.
ქამუშაძე მიხეილ ელიზბარის-ძე.
ქევანიშვილი სერაპიონ თომას-ძე.
ქორიძე ნინო ვარლამის ასული.
ღაღანიძე ნუნუ ივლიანეს ასული.
შალამბერიძე მარიამ გერასიმეს ასული.
შარიქაძე თეოფილე პეტრეს-ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიკაშვილი თამარ მამონტის ასული.
ჩლაიძე ეკატერინე ზაქარიას ასული.
ჩოგოვაძე ნიკიფორე ისანას-ძე.
ჩოჩუა ვასილ ვახტანგის-ძე
ჩოხელი ივანე ალექსის-ძე.
ჩხუბიანი თამარ ალექსანდრეს ასული.
ცანავა ზინა დავითის ასული.
ცერცვაძე ნინო გერასიმეს ასული.
ციცხვაია პრასკოვია მოსეს ასული.
ჭანიშვილი თეიმურაზ გიორგის-ძე.
ჭელიძე ნიკოლოზ იოსების-ძე.
ჭეჟია აბელ პეტრეს-ძე.
ჭუმბურიძე მოსე გერასიმეს-ძე.
ჭყონია ირაკლი ალექსანდრეს-ძე.
ხინთიბიძე ქეთევან მიხეილის ასული.
ხუბულავა ვენერა კონსტანტინეს ასული.
ჯანგიძე ანტონ მიხეილის-ძე.
ჯანდაგაშვილი შალვა სოლომონის-ძე.
ჯაფარიძე პეტრე სპირიდონის-ძე.
ჯაშიაშვილი არჩილ ივანეს-ძე.
ჯიკაევა ანასტასია ქარუმის ასული.
ჯინჭარაძე ეთერი ნიკოლოზის ასული.
ჯიოევი ვასილ ივანეს-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წლის 6 აპრილი.

17. ამხ. ვ. ბ. გოგუას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

განთავისუფლდეს ამხ. ვასილ ბარნაბის-ძე **გოგუა** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 6 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. ამხ. ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნას ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე **ჩხუბიანიშვილი** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური **რეს**პუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ და განთავისუფლდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 6 აპრილი.

19. მ. ი. ბარამიას გარიცხვის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობიდან

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

იმის გამო, რომ **მ. ი. ბარამიამ** არ გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა და მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში, გაირიცხოს იგი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს **პ**რეზიდიუმის შემადგენლობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 6 აპრილი.

20. ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

განთავისუფლდეს ამხ. კანდიდ ნესტორის-ძე **ჩარკვიანი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან საქართველოს სს რესპუბლიკიდან წასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 6 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. ამხანაგ ვ. გ. ცხოვრებაშვილის არჩევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნას ამხ. ვლადიმერ გედევანის-ძე **ცხოვრებაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 6 აპრილი.

საქ. სახ. ... საკავშირო ბიბლიოთეკა

22. ამხ. ზ. ნ. კეცხოველის დამტკიცების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ

51/54

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე **კეცხოველი** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და განთავისუფლდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 6 აპრილი.

23. ამხ. ვ. მ. ბაქრაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს ამხ. ვალერიან მინას-ძე **ბაქრაძე** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და განთავისუფლდეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 6 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. ამხ. კ. მ. თარგამაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. კონსტანტინე მიხეილის-ძე **თარგამაძე** საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გიდასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 6 აპრილი.

25. საქართველოს სსრ მინისტრების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდნენ: საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრად ამხ. ილია ანდრიას-ძე **წიკლაური;**

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრად — ამხ. ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე **სუხიაშვილი;**

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად — ამხ. ვახტანგ ალექსანდრეს-ძე **ლოლაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 6 აპრილი.

26. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის შემადგენლობიდან ვ. ი. შონიას და საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობიდან გ. დ. ჩაჩიბაიას გარიცხვის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

იმის გამო, რომ **შონიამ ვ. ი.** და **ჩაჩიბაიამ გ. დ.** არ გაამართლეს ამომრჩეველთა ნდობა და მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში,

გაირიცხონ **შონია ვ. ი.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიისა და **ჩაჩიბაია გ. დ.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 6 აპრილი.

27. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის წევრად მ. ყ. ლომიძისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის წევრად შ. მ. თათარაშვილის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნან: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის წევრად ამხ. მიხეილ ყარამანის-ძე **ლომიძე** და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის წევრად შოთა მიხეილის-ძე **თათარაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 6 აპრილი.

28. ამხ. მ. მ. ლელაშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

განთავისუფლდეს ამხ. მიხეილ მიხეილის-ძე **ლელაშვილი** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1952 წ. 6 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29. ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის არჩევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნას ამხ. გივი დიმიტრის-ძე **ჯავახიშვილი** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 6 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

30. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

შეიცვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 17 მარტის ბრძანებულება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ“ და მოწვეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია 1952 წლის 5 აპრილს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 2 აპრილი.

31. ბრძანებულება ზუგდიდის რაიონის კოკის სასოფლო საბჭოდან დასახლებული პუნქტის ხურჩას გამოყოფისა და აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის ნაბაკევის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გამოეყოს ზუგდიდის რაიონის კოკის სასოფლო საბჭოს დასახლებული პუნქტი ხურჩა და მიეკუთვნოს აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის ნაბაკევის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წ. 19 აპრილი.

32. საჩხერის რაიონში ზოგიერთი სოფლის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საჩხერის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება და მოსახლეობის სხვა ადგილზე დასახლების გამო გაუქმდეს ცხამის სასოფლო საბჭოს სოფლები: დურევი, ეთო და ეხვევი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1952 წლის 19 აპრილი.